სამეცნიერო შრომათა კრებულებში სტატიის პუბლიკაციისთვის საჭირო მოთხოვნები

1. სამეცნიერო სტატიის (ნარკვევის) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საავტორო თაბახს (40000 სასტამბო ნიშანი = 25 გვერდი, ფურცლის სტანდარტული A4 ზომა) სანოტო მაგალითებისა და სქემების დანართის ჩათვლით. მიიღება სტატიის (ნარკვევის) ელექტრონული ვერსია Word-ის ფაილის სახით; ფონტი - Akad Nusx, სხვა ენაზე - Times New Roman; შრიფტის ზომა - 12; გვერდის ზომა - A4, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი; დაშორება გვერდის ზედა და ქვედა კიდედან 2,5 სმ., გვერდის მარჯვენა კიდე – 1,0 სმ., მარცხენა კიდე - 3,0 სმ.

2. სანოტო მაგალითები და სქემები სასურველია სტატიის ტექსტს დანართის სახით ახლდეს; აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ჩართული იყოს ტექსტში. სანოტო მაგალითები წარმოდგენილი უნდა იყოს TIFF ან PDF ფაილით (წინასწარ აკრეფილი კომპიუტერული პროგრამით ან გასკანერებული. გასკანერების შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს დედანის დამაკმაყოფილებელ ხარისხს)

3. ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილია სტატიის ბოლოს. გამოყენებული ლიტერატურის სია მხოლოდ ტექსტში დამოწმებული ავტორების ჩამონათვალს უნდა შეიცავდეს (ლიტერატურის მითითების წესი იხილეთ ცალკე).

4. სტატიას თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (დაახლოებით 800 - 1000 სასტამბო ნიშანი = 1/2 A4 ზომის გვერდი თითოეულ ენაზე), რომელშიც ნაჩვენები იქნება გამოკვლევის შედეგები. ანოტაცია არ უნდა შეიცავდეს ციტატებს და სქემებს / მაგალითებს

5. მიიღება სტატიის და ანოტაციის ელექტრონული ვერსია (სრულყოფილი კორექტურით).

6. სარედაქციიო ჯგუფის მიერ სტატიის განხილვის შემდეგ შესაძლებელია მასალა დაუბრუნდეს ავტორს შემდგომი გადამუშავებისა და კომპიუტერული ვერსიის კორექტურისთვის. წიგნის მაკეტის სახით დაკაბადონებული მასალა საბოლოო კორექტურისთვის უბრუნდება როგორც ავტორს, ისე სარედაქციო ჯგუფს.

7. რედაქციაში მიღებისა და სარედაქციო ჯგუფის მიერ სტატიის განხილვის შემდეგ ავტორს არ შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.